

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ----- 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----- 7

სრული შემოსავლის ანგარიშგება -----8

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება -----9

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია11
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა11
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები16
4. ძირითადი საშუალებები.....17
5. არამატერიალური აქტივები.....18
6. მარაგები18
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....18
8. ფული და ფულის ექვივალენტები.....19
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები19
10. საგადასახადო ვალდებულებები.....19
11. შემოსავალი.....19
12. შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები20
13. სხვა ხარჯები20
14. საპროცენტო შემოსავალი20
15. საპროცენტო ხარჯი.....21
16. მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა21
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან21
18. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები23
19. ბალანსის შემდგომი მოვლენები23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“-ს მენეჯმენტს და დამფუძნებელს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შ.პ.ს. „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ის) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია 19,518 და 36,439 ლარით შესაბამისად (შენიშვნა 6).

ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღებისათვის არ ვიყავით დანიშნულები შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. შესაბამისი თარიღის მდგომარეობით ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით.

2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ნაღდი ფული სალაროში წარმოდგენილია შესაბამისად 13,616 და 1,911 ლარით (შენიშვნა 8).

ჩვენ არ დავსწრებივართ ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღებისათვის არ ვიყავით დანიშნულები შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. შესაბამისი თარიღის მდგომარეობით ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ სასაქონლო მატერიალურ მარაგებთან და ნაღდ ფულთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შ.პ.ს. „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“-სგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული

აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

შესადარისი ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულსხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია შპს "ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი"-ს მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის.

დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს შემდეგი მიზნებისთვის: გაუზიაროს დამფუძნებელს ან/და განიხილოს სუბიექტის შიგნით შექმნილი შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოს ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად. 2018 წლის საანგარიშო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე.

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

აუდიტორად დანიშვნა

ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ შ.პ.ს. "ამერი დეველოპმენტი"-თან (ს/კ 404956776) გაფორმებული, 2019 წლის 20 მაისის #05/20/001-2019 ხელშეკრულების, ასევე 2019 წლის 20 მაისის გარიგების წერილის საფუძველზე, იმისათვის რომ ჩაგვეტარებინა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აუდიტის გარიგებაში დაკავების ჯამური უწყვეტი პერიოდი შეადგენს ერთ წელს, რომელიც შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს მოიცავს.

გარდა ზემოაღნიშნული აუდიტორული მომსახურებისა, სხვა მარწმუნებელი ან არამარწმუნებელი მომსახურების გაწევა შ.პ.ს. "ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი"-სთვის არ მომხდარა.

ჩვენ დამოუკიდებლები ვიყავით კომპანიისაგან, ჩვენი აუდიტის ჩატარების პროცესში.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი
შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით

25.09.2019
პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,
თბილისი 0186, საქართველო

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით

ლევან პაპიაშვილი
შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით

25.09.2019

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,
თბილისი 0186, საქართველო

მთლიანი საშუალებები		4,985,538	4,989,710
არასრულწლოვანი აქტივები	5	27,281	28,003
სულ განუყოფელი აქტივები		4,512,809	3,014,713
მომდინარე აქტივები			
მარცხენი	6	19,518	36,439
საგაწრო და სხვა მოთხოვნები	7	31,241	5,081
ფულადი და ფულადი ეკვივალენტები	8	640,375	80,429
სულ მომდინარე აქტივები		691,134	121,949
სულ აქტივები		5,203,943	3,136,662
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		4,945,746	4,945,746
დაფარული მოგება (ზარალი)		156,396	(65,060)
სულ კაპიტალი		5,102,132	4,880,686
მომდინარე ვალდებულებები			
მოვალეობიანი სესხები			152,318
საგაწრო და სხვა ვალდებულებები	9	78,535	84,844
საგადასახადო ვალდებულებები	10	23,476	18,814
სულ მომდინარე ვალდებულებები		101,811	25,978
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		5,203,943	5,136,662

დირექტორი
გორგი მანუკაშვილი
24.09.2019, თბილისი



მთავარი მუდარბერი
თამარ ლომსაძე
24.09.2019, თბილისი



შპს „ამერიკელი პლაზა კორპორაცია“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4,485,528	4,989,710
არამატერიალური აქტივები	5	27,281	25,003
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,512,809	5,014,713
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	19,518	36,439
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	31,241	5,081
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	640,375	80,429
სულ მიმდინარე აქტივები		691,134	121,949
სულ აქტივები		5,203,943	5,136,662
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		4,945,746	4,945,746
დაგროვილი მოგება/ (ზარალი)		156,386	(65,060)
სულ კაპიტალი		5,102,132	4,880,686
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები		-	152,318
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	78,335	84,844
საგადასახადო ვალდებულებები	10	23,476	18,814
სულ მიმდინარე ვალდებულებები		101,811	255,976
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		5,203,943	5,136,662

დირექტორი
 გიორგი თავდიშვილი
 24.09.2019, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
 თამარ ლომსაძე
 24.09.2019, თბილისი

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4,485,528	4,989,710
არამატერიალური აქტივები	5	27,281	25,003
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,512,809	5,014,713
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	19,518	36,439
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	31,241	5,081
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	640,375	80,429
სულ მიმდინარე აქტივები		691,134	121,949
სულ აქტივები		5,203,943	5,136,662
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		4,945,746	4,945,746
დაგროვილი მოგება/ (ზარალი)		156,386	(65,060)
სულ კაპიტალი		5,102,132	4,880,686
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები		-	152,318
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	78,335	84,844
საგადასახადო ვალდებულებები	10	23,476	18,814
სულ მიმდინარე ვალდებულებები		101,811	255,976
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		5,203,943	5,136,662

დირექტორი
 გიორგი თავდიშვილი
 24.09.2019, თბილისი



მთავარი ბუღალტერი
 თამარ ლომსაძე
 24.09.2019, თბილისი



შპს „ამერიკელი პლაზა კორპორეიკა ჯგუფი“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	11	2,306,843	391,860
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში		(16,921)	36,439
შესყიდული სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობები	12	(237,347)	(116,882)
კაპიტალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		34,667	42,620
თანამშრომელთა ხელფასები და გასამრჯელოები		(595,207)	(171,642)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(593,883)	(142,865)
სხვა ხარჯები	13	(494,941)	(96,720)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		403,211	(57,190)
საპროცენტო შემოსავალი	14	4,574	-
საპროცენტო ხარჯი	15	(3,192)	(3,628)
მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	16	16,773	(3,650)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		80	(592)
მოგება დაბეგვრამდე		421,446	(65,060)
მოგების გადასახადი		-	-
წლის მთლიანი სრული მოგება		421,446	(65,060)

დირექტორი
 გიორგი თავდიშვილი
 24.09.2019, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
 თამარ ლომსაძე
 24.09.2019, თბილისი

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	11	2,306,843	391,860
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში		(16,921)	36,439
შესყიდული სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობები	12	(237,347)	(116,882)
კაპიტალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		34,667	42,620
თანამშრომელთა ხელფასები და გასამრჯელოები		(595,207)	(171,642)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(593,883)	(142,865)
სხვა ხარჯები	13	(494,941)	(96,720)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		403,211	(57,190)
საპროცენტო შემოსავალი	14	4,574	-
საპროცენტო ხარჯი	15	(3,192)	(3,628)
მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	16	16,773	(3,650)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		80	(592)
მოგება დაბეგვრამდე		421,446	(65,060)
მოგების გადასახადი		-	-
წლის მთლიანი სრული მოგება		421,446	(65,060)

დირექტორი
 გიორგი თავდიშვილი
 24.09.2019, თბილისი



მთავარი ბუღალტერი
 თამარ ლომსაძე
 24.09.2019, თბილისი



შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საკუთარი კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
01.01.2017	-	-	-
კაპიტალის შევსება	4,945,746	-	4,945,746
წლის სრული შემოსავალი /(ზარალი)	-	(65,060)	(65,060)
31 დეკემბერი 2017	4,945,746	(65,060)	4,880,686
წლის სრული შემოსავალი /(ზარალი)	-	421,446	421,446
დივიდენდის გადახდა	-	(200,000)	(200,000)
31 დეკემბერი 2018	4,945,746	156,386	5,102,132

დირექტორი
 გიორგი თავდიშვილი
 24.09.2019, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
 თამარ ლომსაძე
 24.09.2019, თბილისი

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საკუთარი კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
01.01.2017	-	-	-
კაპიტალის შევსება	4,945,746	-	4,945,746
წლის სრული შემოსავალი /(ზარალი)	-	(65,060)	(65,060)
31 დეკემბერი 2017	4,945,746	(65,060)	4,880,686
წლის სრული შემოსავალი /(ზარალი)	-	421,446	421,446
დივიდენდის გადახდა	-	(200,000)	(200,000)
31 დეკემბერი 2018	4,945,746	156,386	5,102,132

დირექტორი
 გიორგი თავდიშვილი
 24.09.2019, თბილისი



მთავარი ბუღალტერი
 თამარ ლომსაძე
 24.09.2019, თბილისი



**შპს „ამერიკელი პლაზა კორპორეტი“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება**

**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება/(ზარალი)	421,446	(65,060)
არაფულადი კორექტირებები:		
გაუფასურების ხარჯი	5,521	-
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	593,880	142,865
საკურსო სხვაობებით გამოწვეული (მოგება)/ზარალი	(16,773)	3,650
საოპერაციო მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	1,004,074	81,455
 ცვლილებები მარაგებში	16,921	(36,439)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(31,681)	(5,081)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	2,310	80,373
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში/აქტივში	4,662	18,814
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	996,286	139,122
 ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(200,000)	-
სესხის აღება/(დაბრუნება)	(152,318)	152,318
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(352,318)	152,318
 ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(88,526)	(186,242)
არამატერიალური აქტივის შეძენა	(3,450)	(25,590)
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(91,976)	(211,832)
 ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ზრდა	551,992	79,608
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	7,954	821
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	80,429	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	640,375	80,429

დირექტორი
გიორგი თავდიშვილი
24.09.2019, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
თამარ ლომსაძე
24.09.2019, თბილისი

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება/(ზარალი)	421,446	(65,060)
არაფულადი კორექტირებები:		
გაუფასურების ხარჯი	5,521	-
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	593,880	142,865
საკურსო სხვაობებით გამოწვეული (მოგება)/ზარალი	(16,773)	3,650
საოპერაციო მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	1,004,074	81,455
ცვლილებები მარაგებში	16,921	(36,439)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(31,681)	(5,081)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	2,310	80,373
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში/აქტივში	4,662	18,814
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	996,286	139,122
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(200,000)	-
სესხის აღება/(დაბრუნება)	(152,318)	152,318
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(352,318)	152,318
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(88,526)	(186,242)
არამატერიალური აქტივის შეძენა	(3,450)	(25,590)
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(91,976)	(211,832)
ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ზრდა	551,992	79,608
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	7,954	821
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	80,429	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	640,375	80,429

დირექტორი
 გიორგი თავდიშვილი
 24.09.2019, თბილისი



მთავარი ბუღალტერი
 თამარ ლომსაძე
 24.09.2019, თბილისი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“ (405228720) წარმოადგენს 2017 წლის 19 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომლის ძირითადი საქმიანობაა სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით.

პარტნიორები :

100% წილის მმართველი შპს ამერი დეველოპმენტი (ს/კ 404956776)

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია:

დირექტორი - გიორგი თავდიშვილი, პ/ნ 61001002615

მარეგისტრირებელი ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი - საქართველო , თბილისი, საბურთალოს რაიონი, მ. კოსტავას ქ., N76ა.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 19 სექტემბერი, რეგისტრაციის თარიღი.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2017 წლის 19 სექტემბრისთვის, კომპანიას არ გამოუყენებია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018, 2017 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

2.4 ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება

2.4.1 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა-ნაგებობები	20 წელი
საოფისე აღჭურვილობა	2-5 წელი
ავტო და სხვა ინვენტარი	2-5 წელი
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.4.2 საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონებას აღრიცხავს ასევე მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად. იხილეთ პუნქტი 2.4.1.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 10 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს და კომპიუტერული პროგრამის ლიცენზიებს.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.10 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

2.11 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

კომპანია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.12 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდ ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი. კომპანიას სჯერა, რომ ყველა აუდირებული პერიოდისთვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობას. ეს განსაზღვრება ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს, და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის ანგარიშგებაზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შპს „ამერიკელი პლაზა კორპორაცია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენიშვნები	ოფისის აღჭურვილობა	ავტომობილი და სხვა ინვენტარი	სამზარეულოს ავტომობილი	სულ
ისტორიული ღირებულება					
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	4,613,393	17,444	444,427	56,725	5,131,988
დამატება	6,673	7,697	72,153	2,014	88,537
აქტივების ჩამოწერა/გასვლა	-	-	-	(11)	(11)
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	4,620,066	25,141	516,580	58,728	5,220,514
აკუმულირებული ცვეთა					
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	115,330	663	21,046	5,238	142,278
პერიოდის ცვეთა	461,895	4,756	104,888	21,171	592,711
ჩამოწერილი/გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	(3)	(3)
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	577,226	5,419	125,934	26,407	734,986
წმინდა საბალანსო ღირებულება					
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	4,498,063	16,781	423,381	51,486	4,989,710
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	4,042,840	19,721	390,645	32,321	4,485,528

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კომპიუტერული ლიცენზიები	პროგრამები	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	2,405	23,185	25,590
დამატება	2,228	1,222	3,450
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	4,633	24,407	29,040
აკუმულირებული ამორტიზაცია			
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	25	562	587
ამორტიზაცია 2018	307	865	1,172
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	333	1,426	1,759
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	2,379	22,623	25,003
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	4,300	22,981	27,281

6. მარაგები

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
კაფე-რესტორნისა და ბარის საქონელი	15,532
საქონელი - ჰიგიენის საშუალებები	2,269
სამშენებლო მასალები	1,174
საწვავი	542
სულ	19,518

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
ფინანსური აქტივები	
სავაჭრო მოთხოვნები	30,004
არაფინანსური აქტივები	
წინასწარ გაწეული ხარჯი	1,237
სულ	31,241

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
ნაღდი ფული სალაროში (ლარი)	13,616
ფული ბანკებში (ლარი)	43,132
ფული ბანკებში (აშშ დოლარი)	513,623
ფული ბანკებში (ევრო)	17,678
ანაბარი (ლარში)	52,326
სულ	640,375

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
ფინანსური ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	47,357
არაფინანსური ვალდებულებები	
მიღებული ავანსები	30,978
სულ	78,335

10. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით.

11. შემოსავალი

შემოსავალი 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
შემოსავალი ოთახების გაქირავებიდან	2,172,472
შემოსავალი რესტორნის რეალიზაციიდან	79,703
სხვა შემოსავლები (ოთახების გაქირავებასთან დაკავშირებული)	54,668
სულ	2,306,843

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

12. შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
ბარისა და რესტორნის მომსახურებისთვის მარაგის თვითღირებულება	134,879
მიმდინარე რემონტის მასალების თვითღირებულება	11,643
კაპიტალიზებული მასალების თვითღირებულება	34,667
საწვავი	1,151
დასუფთავების მასალები	23,892
სხვა მარაგის თვითღირებულება	31,115
	237,347

13. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
სასტუმროს და რესტორნის მართვის მომსახურების ხარჯი	54,378
Booking.com -ის საკომისიო ხარჯი	91,824
კომუნალური ხარჯი	90,926
ჰიგიენის ხარჯი	89,143
რეკლამის ხარჯი	4,442
კომუნიკაციის ხარჯი	19,835
სხვა საგადასახადო ხარჯი	47,376
ტერმინალის მომსახურების ხარჯი	17,426
წარმომადგენლობითი ხარჯი	3,453
სხვა ხარჯი	46,448
ლიფტის მომსახურების ხარჯი	13,321
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	5,521
პროგრამული მომსახურების ხარჯი	6,221
იჯარის ხარჯი	4,627
	494,941

14. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე	4,574
	4,574

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

15. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
დირექტორის სესხის % (ლარი)	1,392
დამფუძნებლის სესხის % (აშშ დოლარი)	1,800
	3,192

16. მოგება/ (ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა

ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	7,955
ეფექტი ვალდებულებებზე	8,818
	16,773

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, კომპანიამ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2018 წელს განხორციელებული ტრანზაქციები მოცემულია ქვემოთ:

საქონლის/მომსახურების მიწოდება:

	2018	2017
სხვადასხვა დაკავშირებული საწარმოები	24,227	2,356
სულ	24,227	2,356

საქონლის/მომსახურების შეძენა:

	2018	2017
მაკონტროლებელი საწარმო	18,662	7,699
სხვადასხვა დაკავშირებული საწარმოები	21,583	2,399
სულ	40,245	10,098

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:
მოთხოვნები:

	2018	2017
<u>სხვადასხვა დაკავშირებული საწარმოები:</u>		
სავაჭრო მოთხოვნა	1,055	-
სულ	1,055	-

ვალდებულებები:

	2018	2017
<u>მაკონტროლებელი საწარმო:</u>		
სავაჭრო ვალდებულება	1,370	9,084
სასესხო ვალდებულება	-	131,591
<u>სხვადასხვა დაკავშირებული საწარმოები:</u>		
სავაჭრო ვალდებულება	1,212	1,284
სასესხო ვალდებულება	-	20,726
სულ	2,582	162,685

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე ანაზღაურება არ გაცემულა:

	2018	2017
დირექტორის ანაზღაურება	-	-
სულ	-	-

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

18. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულება არსებობს.

19. ბალანსის შემდგომი მოვლენები

დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, 2019 წლის 21 აგვისტოს, მოხდა კომპანიის კაპიტალის შემცირება 426,400 ლარის ოდენობით.